საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 01 მარტი, 2023 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/24

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ბხსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა (№1 , 02.02.2023) და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილების (ოქმი N 33) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, სოფიო თავაძეს, აკადემიური საბჭოს წევრობასთან შეუთავსებელი ადმინისტრაციული თანამდებობის, კერძოდ, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დაკავების გამო, შეუწყდეს აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

2. დადგენილება ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტს, სოფიო თავაძეს და განთავსდეს მის პირად საქმეში.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**